ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №565294

ნომერი: AR1111271

თარიღი : 21.02.2013

გაცემის თარიღი : 27.02.2013

გაცნობის თარიღი : 28.02.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ. სამხედრო გზაზე , ახმეტელისა და ავტოგასამართ სადგურ "გრეკო"-ს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ბეჟაშვილი პ/ნ 01025001403
- თბილისი ს.კანდელაკის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება 6-17 2009 წლის 5 ივნისი „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად, განეკუთვნება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მეორე ნაწილი სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), რომელი მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა). აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა: ა) განათების, ბ) სარწყავი სისტემის, გ) სარეკლამო ბილბორდის, დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის. ასევე ტერიტორიაზე დასმულია 11.50 მეტრიანი განაშენიანების რეგულირების ხაზი, რომლის დაცვაც აუცილებელია მშენებლობის დროს.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სხვადასხვა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ტერიტორიაზე (გლდანის ტბის მიმდებარედ, დიღმის ტყე-პარკი, თბილისის ზღვის მიმდებარედ, დიდი დიღომის მარცხენა მხარე, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდიდან ცოტნე დადიანის გამზირამდე, ლისის ტბის დასავლეთით, ინტენსიფიკაციის ქუჩის გასხვისების ზოლი, მოსკოვის პროსპექტსა და ბოგდან-ხმელნიცკის ქუჩებს შორის, წავკისის და ტაბახმელას მიმდებარედ), მუშავდება განაშენიანების რეგულირების ე.წ. „ჩარჩო გეგმები“, რომლებიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტერიტორიაზე ვერ განთავსდება სრულყოფილი დამოუკიდებელი ობიექტი, შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge